# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM



## ძვირფასო კასპელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი კასპის მერობის კანდიდატისა და კასპის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს კასპის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს კასპი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# კასპის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 15,8 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 24,1 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 5,5 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 15,3 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

2014-2021 წლებში, კასპის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** განახორციელა (ჯამურად 1 150 537 ლარი, თანამონაწილეობა 460 215 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 1 პროექტი (66 721 ლარი, თანამონაწილეობა 26 688 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 568 ჰექტარზე განხორციელდა 105 პროექტი (ჯამურად 5 151 196 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად 479 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 6 856 887 ლარი), რითაც 267-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებისთვის სტიქიით მიყენებული ზარალი 118 189 ლარით ანაზღაურდა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისათვის მოქმედებს 8 კოოპერატივი (93 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 404 150 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 87 324 068 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 11 579 144 ლარი), რითაც 757-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 14 პროექტი (ჯამურად 241 242 ლარი, თანადაფინანსება 96 497 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა და შესყიდულია** 109 206 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 54 603 ლარი). **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** 2020 წლიდან ამოქმედდა და განხორციელდა 8 პროექტი (470 024 ლარი, თანადაფინანსება 236 024 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოები**, 2013-2020 წლებში, 25 890 584 ლარით დაფინანსდა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 300-დან (2013 წელს) 6 431 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით **2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი** მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;
- უახლოეს მომავალში სეტყვისგან დასაცავად შიდა ქართლი, კახეთის მსგავსად, უზრუნველყოფილი იქნება სეტყვისგან დამცავი სისტემებით;
- 2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 8 096 ჰექტრამდე ზრდა.



სოფელი ხვითი

41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** კასპში დაფინანსდა 3 საწარმო (ჯამურად 12 988 694 ლარი, დასაქმებულია 60 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 2 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 5 410 000 ლარი, დასაქმდა 34 ადამიანი, მუნიციპალიტეტს 35 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 422 310 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 557 979 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 52 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 27, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 25 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

შიდა ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა 2 ჰიდროელექტროსადგური და 1 ქარის ელექტროსადგური (ჯამური დადგმული სიმძლავრე 23 მგვტ, ინვესტიცია 38 მლნ აშშ დოლარი). **ამ ეტაპზე შიდა ქართლის რეგიონში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ენერგეტიკული პროექტები:** მეტეხი ჰესი 1 (56 500 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 36,70 მგვტ); მეტეხი ჰესი 2 (20 000 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 10,00 მგვტ); კასპის ქარის ელსადგური (78 000 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 50,00 მგვტ); ფლევის ქარის ელსადგური (46 700 706 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 34,50 მგვტ);

კასპის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია 13 297 აბონენტი.** 2022-2023 წლებში იგეგმება 6 სოფლის (თეძმისხევი, კაპრაშიანი, ახალციხე, ნოსტე, მთიულთუბანი, ერთაწმინდა) გაზიფიცირება (დამატებით 695 აბონენტი). 2013-2017 წლებში, **სოფლების გოსტიბესა და ცხავერის 114 ოჯახი (ჯამურად) ელექტროენერგიის ქსელში ჩაერთო.** 6899 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** 2014 წელს, კასპში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, 2016 წლიდან მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევისა და დაგეგმვის პროექტი. „ღვინის გზის“ პროექტით განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

**კასპის ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტები:** ოკამის გამწვანების ბაღში დასასვენებელი-გასართობი ცენტრების მოწყობა; კასპის მხარეთ-

მცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია; ქვათახევის სამონასტრო კომპლექსში მაღალაანთ კოშკებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია/მოასფალტება; „კრაკლიანი გორას“ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; სოფელ გარიყულაში „არტვილა-გარიყულა“ (ბოლგარსკების სასახლე-აგარაკი); სოფელ ნოსტეში სააკაძეების საგვარეულო კოშკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ახლქალაქი-რკონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის ერთაწმინდა-რკონის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, კასპის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 82 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 2555,4 კუბური მეტრი ხე-ტყე. 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

სამომავლოდ, გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, კასპის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, კასპში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 35 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 1,178 მილიონი ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში კასპის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 15 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 406 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, კასპის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 14 მლნ ლარზე მეტით დაფინანსდა. 2021-2023 წლებში, დამატებით 16 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. **კასპში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:** სოფ. აღაიანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (2 430 806 ლარი); სოფ. ხიდისყურისა და საქადაგიანოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობა (2 686 662.00 ლ); ქ. კასპისა და ქარელის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია (3 978 765 ლ); ქ. კასპში, კოსტავას ქ. წყალმომარაგება-წყალარინების ამორტიზებული ქსელის, ლესელიძის ქ. და მისი მიმდებარე უბნების წყალმომარაგების ქსელის რეკონსტრუქცია (794 000 ლ); კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების კონფლიქტისპირა სოფლებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა (6 437 566 ლ).



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში ევროპული სტანდარტებისა და მაღალი ტექნოლოგიების კერამიკული პროდუქციის საწარმო


სასმელი წყალი სოფელ აღაიანს

**2021-2022 წლებისთვის კასპის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- სოფ. თელადგორთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია/მოასფალტება II ეტაპი – 520 273 ლ;
- იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის მე-18 კმ-ზე 9 აპრილის წყაროდან სოფელ ბარნაბიანთკარში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია/მოასფალტება II ეტაპი – 385 519 ლ;
- ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. სრული რეაბილიტაცია II ეტაპი – 300 050 ლ;
- ყარაფილა-სარიბარი-ზადიაანთკარის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაცია/მოასფალტება II ეტაპი – 259 636 ლ;
- ქ. კასპში შარიფაშვილის ქუჩის და მიმდებარე ყაზბეგისა და წერეთლის, გურამიშვილის, წულუკიძის ქუჩების რეაბილიტაცია – 348 921 ლ;
- სოფელ იდლეთის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 350 000 ლ;
- ნიგოზა, ჩობალაური, ქვემო და ზემო რენეს ადგილობრივი მნიშვნელობის, თბილისი სენაკი-ლესელიძეს ავტობანთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია – 477 748 ლ;
- ქ. კასპში, ლესელიძის, ჯორჯიაშვილის, სამების, მეტეხის ქვათახევის ქუჩების რეაბილიტაცია– 320 440 ლ;
- სოფ. ხვითის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 574 730 ლ;
- ქ. კასპში, გაბაშვილის ქუჩის მოასფალტება – 305 000 ლ;
- გრაკლიანი გორის არქეოლოგიური მუზეუმის საგამოფენო სივრცის მოწყობა II ეტაპი – 345 000 ლ;
- სოფ. ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა კომპლექსის ტერიტორიის კეთილმოწყობა – 100 000 ლ;
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-132) მეტეხი-ქვემო გომი-ნათლისმცემლის ეკლესიის ს/გზის კმ5,7-კმ9 მონაკვეთის რეაბილიტაცია – 3 076 533 ლ;
- კასპში იას ქუჩის მოწყობა – 304 418.98 ;
- გოსტიბესა და ცხავერის გზის რეაბილიტაცია II ეტაპი – 460 137 ლ;
- სოფ. სასირეთში სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 133 609 ლ;
- ლავრისხევის მისასვლელი გზის მოასფალტება – 841 778 ლ;
- სოფ. აღაიანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია– 2 117 566 ლ;
- ქ. კასპში, ჭავჭავაძისა და სააკაძის ქუჩების შემაერთებელი 4 ვერტიკალური მონაკვეთის მოწყობა-მოასფალტება – 264 469 ლ;
- სოფ. ფერმასა და ჩანგილარის შემაერთებელი გზის მონაკვეთის მოასფალტება – 310 313 ლ;
- სოფ. ახალქალაქში, გარიყულადან არტვილა-გარიყულამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 307 619 ლ;
- ქ. კასპში, მრავალსართულიან და მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელი კვარტალური ეზოების მოწყობა – 1 098 975 ლ;
- ქ. კასპში, გაბაშვილის ქუჩის მოასფალტება – 253 392 ლ;
- №4 ბაღთან მისასვლელი გზის მოასფალტება – 74 210 ლ;
- კასპის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის პირას მდებარე სოფელ ბოჟამთან მისასვლელი გზის მოწყობა/ მოსფალტება – 1 532 068 ლ;
- სოფ. გუდალეთის მისასვლელი ს/გზის მოწყობა/მოასფალტება – 2 933 800 ლ;
- სოფ. ცხავერის „კაჩაანთ უბნის“ გზის მოხრეშვა – 175 810 ლ;
- სოფ. სასირეთის გენერალ მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი ს/გზის მოწყობა – 604 072 ლ;
- ქ.კასპში, ბეტონის საფარის მოწყობა (ხეთაგუროვის, სამთავისის და მშვიდობის ქუჩები) – 172 727 ლ;
- სოფ. სასირეთში გზის რეაბილიტაცია – 133 610 ლ;
- სოფ. თელიანის მონაკვეთზე, თელიანი-სასირეთის გზის რეაბილიტაცია – 477 572 ლ.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ვახტანგ მაისურაძე: „კასპელები ნამდვილად იმსახურებენ ბედნიერ ცხოვრებას და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ“

**არასრული ერთი წელია, კასპის მერის მოვალეობას ასრულებს. მშობლიურ მუნიციპალიტეტს წლების წინაც ემსახურებოდა გამგებლის სტატუსით. პროფესიით ეკონომისტი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ ულტერნატივო გუნდია, რომელსაც ქვეყანაში სურვილიც აქვს და უნარიც შესწევს. ამის დასადასტურებლად იმ მასშტაბურ პროექტებს ასახელებს, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა, მიმდინარეობს ან დაგეგმილია. გამონაკლისი არც კასპია – აქაც ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ ბოლო წლებში. კასპის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ ვახტანგ მაისურაძე ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში სამომავლოდაც არაერთი, კასპელების საჭიროებებზე მორგებული პროექტია დაგეგმილი, რომელთა განხორციელებისთვისაც, გამარჯვების შემთხვევაში, აქტიურად იშრომებს.**



დაიბადა 1975 წლის 29 ივლისს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთში.

1992 წელს დაამთავრა ქ. გორის №3 საშუალო სკოლა. 1992-1997 წლებში სწავლობდა ქ. გორის სახელმწიფო ეკონომიკურ ინსტიტუტში, საბუღალტრო აღრიცხვის, კონტროლისა და სამეურნეო საქმიანობის ფაკულტეტზე.

1997 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს პარლამენტის აპარატში, უფროს სპეციალისტად. პარალელურად, 1997 წელს ჩაირიცხა საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. 2006 წელს მუშაობდა შიდა ქართლში, პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში, საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელად; 2006-2007 წლებში იყო კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი; 2012-2013 წლებში მოღვაწეობა გააგრძელა კერძო სექტორში, შპს „ნიუ კონსტრაქშენში“.

2013-დან 2020 წლამდე მუშაობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე.

2020-2021 წლებში გახლავთ კასპის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**– ბატონო ვახტანგ, მერის მოვალეობის შესრულება არასრული 1 წლის განმავლობაში მოგიწიათ. ამ მოკლე დროში რისი გაკეთება მოასწარით?**

– შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საკმაოდ ნაყოფიერი არასრული ერთ წელი იყო. გამარჯვების შემდეგ შევეცადე, ყველა ის საკითხი, რაც წინასაარჩევნოდ მოსახლეობის მიერ იყო დასმული, გამეთვალისწინებინა, ბიუჯეტში ამესახა და დაგვეწყო მისი გადაჭრა. იქნებოდა ეს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკვერების რეაბილიტაცია თუ სხვა. მნიშვნელოვანია, რომ სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად გამოვყავით ფინანსები. პროექტებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რეგიონული ფონდის დახმარებით ვახორციელებთ. გარდა ამისა, ჩვენ მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდ სამუშაოებს ასრულებენ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, გზების დეპარტამენტი. ნიაბი-ბორტას მონაკვეთზე სამმილიონლარიანი პროექტი უახლოეს პერიოდში დაიწყება. წყალმომარაგების პროექტი დასრულდა სოფელ მიქელწყაროში, სადაც დაახლოებით 30-40 წელი სასმელი წყალი არ იყო. აქ ფაქტობრივად ახალი ქსელი გაკეთდა. უახლოეს პერიოდში დაიწყება სოფელ ბარნაბიანისა სასმელი წყლით მომარაგება – ჭაბურღილი და რეზერვუარი წელს დაიდგმება, დაქსელვა მომდევნო წლისთვის არის განსაზღვრული. უახლოეს მომავალში წყლის სამუშაოები დაიწყება სვანების დასახლებაში, საქადაგიანოსა და ხიდისყურში. ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიური წელი იყო, საკოორდინაციო საბჭოზე მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით და დაცვით, კარგად ვიმუშავეთ. ზოგადად, ბოლო პერიოდში, კასპის მუნიციპალიტეტში ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. დღეს, კასპის დაახლოებით 12 ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. კეთდება სოფლებამდე მისასვლელი გზები. წელს დასრულდა 3 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. რეაბილიტაცია უტარდება ქვემო ჭალისა და ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღების შენობებს. ასზე მეტი წელია კასპში მუსიკალური სკოლის შენობისთვის ყურადღება არავის მიუქცევია და წელს უკვე დასრულებულია მისი რეაბილიტაცია. დაახლოებით 300 მოზარდი განახლებულ, კეთილმოწყობილ შენობაში მიიღებს მუსიკალურ განათლებას. შენდება ხელოვნურსაფარიანი მოედნები. კასპში, მიკრორაიონში სკვერის კეთება უკვე დაიწყო. სოფელ სასირეთში, გენერალ მაზნიაშვილის სახელობის სკვერისა და სოფელ ხოვლეში, მესამე სკვერის რეაბილიტაციაზე ტენდერები გამოცხადდა. ძალიან კარგად მუშაობს „სოფლის პროგრამა“, რომლის ფარგლებში გამოყოფილი თანხით, ამა თუ იმ სოფელში ის კეთდება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვს. ზოგან სპორტული სივრცე მოეწყო, ზოგან – გასართობი, ზოგმა გარეგანათება მოითხოვა. ეს პროგრამები კარგად მუშაობს განათლების მიმართულებით – ყველა სკოლაში მოწესრიგდა სველი წერტილები. სასირეთის გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემა გაკეთდა. სოფელ თელიანის მოსახლეობამ კი, წინასაარჩევნოდ ამბულატორიის რეაბილიტაცია მოითხოვა და ეს პროექტიც მალე დაიწყება.

**– მიუხედავად ამდენი განხორციელებული თუ დაწყებული პროექტისა, ალბათ გამოწვევები მაინც რჩება. კასპელების მთავარი მოთხოვნა დღეს რა არის?**

– მიუხედავად იმისა, რომ არაერთი პროექტი განხორციელდა სასმელი წყლის მოგვარების მიმართულებით, ეს გამოწვევა მაინც რჩება. განსაკუთრებით ზაფხულში, როცა სასმელ წყალს მოსახლეობა სარწყავად იყენებს და იქმნება პრობლემა. არის გამოწვევა საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, თუმცა სადაც წელს ვერ შევძელით გზის მოწესრიგება, სამომავლოდ განვახორციელებთ.

**– სიახლე ხომ არ გაქვთ სოციალური პროექტების კუთხით, რაც პანდემიურ პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია?**

– სიახლე არის ის, რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და გამონაკლისი არც გასული წელი იყო. ოპერაციების დაფინანსება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება.... არ შეჩერებულა. პირიქით, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 150 ათასი ლარით გავზარდეთ 2021 წლის ბიუჯეტი და სოციალურ დახმარებებზე, ფაქტობრივად, 950 ათასი ლარია წელს გათვალისწინებული. ვფიქრობ, ბიუჯეტის ზრდა მომდევნო წლისთვისაც გაგრძელდება. რადგან პანდემია ვახსენეთ, გეტყვით, რომ მაქსიმალურად ვიყავით ჩართული პანდემიის მართვაში. მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია გვქონდა და მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, გარკვეულ გადაწყვეტილებებს ვიღებდით. დღესაც ამ რეჟიმში ვმუშაობთ და ვაქცინაციის პროპაგანდაშიც აქტიურად ვმონაწილეობთ. ხალხს ინფორმაციასაც ვაწვდით და მსურველებს დარეგისტრირებაშიც ვეხმარებით.

**– რით ეხმარებით დევნილებსა და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მაცხოვრებლებს?**

– გარდა იმისა, რომ სახელმწიფო დევნილებისთვის სოციალურ პროგრამებს ახორციელებს, მათი ხელშეწყობა და დახმარება მუნიციპალური თვითმმართველობის ბიუჯეტიდანაც ხდება. იქნება ეს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყლის სისტემის გაყვანა, სოციალური პროგრამები თუ სწავლის დაფინანსება. დევნილების სამივე ჩასახლებაში არაერთი ღონისძიება დავგეგმეთ, მათ შორის პროდუქტებითაც დავეხმარეთ. ხინჯად მაქვს, რომ რთული პერიოდისა და ცოტა დროის გამო, ვერ შევძელი დასახლებებში გასართობი სივრცეების, პატარა სკვერების მოწყობა. ამას აუცილებლად გავაკეთებ. ამ ადამიანებს და ასევე, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას, მეტი მოფერება სჭირდებათ. მათ მუდმივად სტრესში უწევთ ცხოვრება და მათთან, განსაკუთრებულად მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს, რათა, საფრთხის შემთხვევაში, დროულად დავუდგეთ გვერდით. ხელისუფლების აქტიური მუშაობის შედეგი იყო ზაზა გახელაძის ოჯახში დაბრუნება. „ქართული ოცნება“ ყოველთვის დგას ჩვენი მოქალაქეების გვერდით და ყოველთვის სწორ ნაბი-



ჯებს გადადგამს, მათი ინტერესების დასაცავად.

**– პროფესიით ეკონომისტი ბრძანდებით და ხელისუფლება ეკონომიკის განვითარებისთვისაც სწორ ნაბიჯებს დგამს?**

– ჩემი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკას არ შესტყობია პანდემიიდან გამოწვეული პრობლემა. წინა წლებში დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა და დასრულდა. ვფიქრობ, ყველაფერი გააკეთა ხელისუფლებამ, რომ პანდემიის დროს შექმნილი სირთულეების მიუხედავად, რაც მხოლოდ საქართველოში არ ხდებოდა, ეკონომიკა არ ჩამოშლილიყო.

**– ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც დღემდე ამ გუნდის ერთგული წევრი ხართ?**

– ეს მართლაც ერთ-ერთი მიზეზია. მთავარი კი ის არის, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ამოსავალი წერტილი არის ადამიანი და მისი თავისუფლება. ეს არის გუნდი, რომელიც ზრუნავს ქვეყანაზე და თითოეულ მოქალაქეზე. სწორედ ამიტომ ვარ მისი მხარდამჭერი პოლიტიკურ ველზე გამოჩენის დღიდან და დღემდე ვრჩები მის გვერდით. ვერ ვხედავ ალტერნატიულ ძალას, ვინც უკეთ წარმართავს ქვეყანას, მის ეკონომიკას, საგარეო თუ საშინაო ურთიერთობებს. ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ ამ პოლიტიკურმა გუნდმა ნდობა ისევ გამომიცხადა. იმავდროულად, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, ჩემი კასპის მიმართ. კასპი ჩემი მშობლიური მუნიციპალიტეტია, აქ დავიბადე და გავიზარდე. აქ არიან ჩემი მშობლებიც. მამა, ვალერიან მაისურაძე, რომელსაც ყველა ვალტერად იცნობს, სოფელ სასირეთიდანაა. დედა, ნანა გერმოზანაშვილი კი – ზემო ხანდაკიდან. მამა მთელი ცხოვრება კასპში მუშაობდა. ბოლო პერიოდში რძის ქარხნის დირექტორი იყო, ამჟამად კი, სოფლის მეურნეობითაა დაკავებული. დედა ბიოლოგია და სასირეთის საჯარო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. ამჯერად ემიგრაციაშია. სხვათა შორის, პედაგოგები იყვნენ და ამავე სკოლაში ასწავლიდნენ პაპა, ვახტანგ მაისურაძე და ბებია თამარ ბახტაძე. ჩვენს ოჯახში სწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მე და ჩემს დას, რომელსაც ახლა თავისი ოჯახი აქვს და ორი შვილის დედაცაა, განსაკუთრებით გვთხოვდნენ, კარგად გვესწავლა. თუმცა, აღზრდის დესპოტური მეთოდები არ ჰქონიათ – უბრალოდ, გვიხსნიდნენ, რომ განათლება ადამიანის წინსვლისათვის უმნიშვნელოვანესია და მხოლოდ სწავლითა და შრომით მიაღწევ წარმატებას. მამა საკმაოდ მკაცრი იყო. მაგრამ თუ მის რისხვას დავიმსახურებდი, პაპა ყოველთვის ჩემს მხარეს იჭერდა. ცელქი არ ვიყავი და მშობლებს იშვიათად ვაბრაზებდი, მაგრამ ზოგჯერ, მდინარეზე გავიპარებოდი, რაც მამას არ მოსწონდა. ზოგადად, მამა ძალიან წესიერი, პატიოსანი კაცია. ისეთი ადამიანია, მის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება რომ გაგიჩნდება და მეც, დღემდე მისი რიდი მაქვს. საბავშვო ბაღი და დაწყებითი კლასი სასირეთში დავამთავრე, შემდეგ კი, საცხოვრებლად გორში გადავედით და უმაღლეს განათლებასაც გორში დავეუფლე.

**– და ეკონომისტის პროფესიით რატომ დაინტერესდით?**

– მინდოდა, იურიდიულზე ჩაბარება, მაგრამ სკოლა 1992 წელს დავამთავრე და მაშინ ქვეყანაში არეულობა იყო. თბილისში ბინა არ გვქონდა და შეიძლება ითქვას, მშობლებმა დამიყოლიეს, გორში დავრჩენილიყავი. გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი დავამთავრე და 1997 წელს, მუშაობაც საქართველოს პარლამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტში ამ მიმართულებით დავიწყე მთავარ სპეციალისტად. მოგვიანებით, იურიდიულზეც ჩავაბარე კერძო ინსტიტუტში, მაგრამ ცხოვრება ისე აეწყო, ამ განხრით მაინც ვერ წავედი. შემდეგ საინტერესო ეტაპები გავიარე – შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში ეკონომიკური სამსახურის უფროსიც ვიყავი, მოგვიანებით, კასპის გამგებლის მოვალეობასაც ვასრულებდი.

**– ამ პოზიციებზე თქვენი საქმიანობა რით იყო გამორჩეული?**

– რწმუნებულის აპარატში მუშაობისას რეგიონის მოსახლეობასთან გვქონდა აქტიური ურთიერთობა. მაშინ ჩემს სოფელში განვახორციელეთ პროექტი, რომელიც მეამაყება. სასირეთში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი აღვადგინეთ. ბებიაჩემს და პაპაჩემს სახლში დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, სადაც გენერლის ჩანაწერებიც ინახებოდა. გუბერნატორის დახმარებით, მაზნიაშვილის მოგონებები, მუზეუმის გახსნის დღისთვის დავბეჭდეთ. გამგებლად კი, მხოლოდ 9 თვე და 2 კვირა მომიწია მუშაობა. გულწრფელად ვცდილობდით, ჩვენი რაიონისთვის, კასპისთვის ყველაფერი გაგვეკეთებინა. მაშინ კასპში იტყოდნენ ხოლმე, რაიკომის მდივანი რომ იყო ქერქაძე, იმის შემდეგ არაფერი გაკეთებულაო. უძრაობის პერიოდის შემდეგ, შევძელით და კასპს ხელისუფლების ხელი ცოტა დაეტყო. ეს პიროვნულად ჩემი დამსახურება არ იყო. ჩვენ, უბრალოდ, მაშინ მოგვეცა შესაძლებლობა, კასპში ინფრასტრუქტურული პროექტები წამოგვეწყო, გაგველამაზებინა, გიორგი სააკაძის ძეგლის გარშემო სკვერი გაგვეკეთებინა, კორპუსებისა და განათებისთვის მიგვეხედა. მეტის შესაძლებლობა არ მომეცა - შეიძლება ითქვას, არასწორ დროს არასწორ ადგილას აღმოვჩნდი და მაშინ, ჩემი პოლიტიკური კარიერა, მავანთა პოლიტიკურ დაპირისპირებებს შეეწირა. რაც მოვასწარი და გავაკეთე კასპში ახსოვთ. კარგი სახელიც დავტოვე და, ვფიქრობ, იმ არასრულ 10 თვეს ტყუილად არ მიმუშავია. ალბათ სწორედ ამას უკავშირდებოდა ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წინა არჩევნებზე, მერობის კანდიდატად დამასახელეს. ხალხის განწყობა ჩემთვის ინდიკატორია. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, ადამიანები დაბრუნებას მთხოვდნენ და მეც, მაშინ, შემოთავაზებას დავთანხმდი. მიხარია, რომ გუნდმა ნდობა კვლავ გამომიცხადა. მინდა, ყველა ის პრობლემა, რაც კასპელებს აწუხებს, მოგვარდეს. ნამდვილად იმსახურებენ კასპელები ბედნიერ ცხოვრებას.

**– კასპი სპეციფიკური მუნიციპალიტეტია. აქ ბევრი საწარმოა. რა ურთიერთობა გაქვთ ბიზნესმენებთან, რომ ეკოლოგიური პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას?**

– მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და კერძო სექტორის ჰარმონიული მუშაობაა მნიშვნელოვანი. საწარმოებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ ის ვალდებულებები, რომლებსაც მათ სახელმწიფო უყენებს და მაქსიმალურად უნდა გადადგან ნაბიჯები, რომ გარემოს ზიანი არ მიადგეს, ეკოლოგია არ დაბინძურდეს. ჩვენც, მაქსიმალურად დავუდგებით მათ გვერდით. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან იმ მეწარმეს, ისევ ადგილობრივ ან ცენტრალურ ბიუჯეტში შეაქვს გადასახადი და ადგილობრივ მოსახლეობასაც ასაქმებს. ამიტომაა ხელისუფლებისთვის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა პრიორიტეტი. ეკოლოგიური საკითხი აქ ძირითადად ცემენტის ქარხანას უკავშირდება. მათთან კომუნიკაცია გვაქვს და ვიცი, რომ ქარხანამ გადაიარაღება მოახდინა და თანამედროვე სტანდარტების ფილტრებსაც ამონტაჟებენ. რჩება პატარა საკითხები, რომელთა გადაჭრაც უახლოეს პერიოდში დაგეგმილია.



# ვახტანგ მაისურაძის ბედნიერი ოჯახი და მოუსვენარი დათა

მისი სამუშაო დღე ძალიან ადრე იწყება და ძალიან გვიან მთავრდება. ოჯახისთვის ნაკლებად იცლის. ამის გამო, ზოგჯერ შვილის საყვედურის მოსმენაც უწევს, მაგრამ უმეტესად, პატიობენ – იციან, ოჯახის თავს ბევრი საქმე აქვს.

კასპი მათი ოჯახისთვის საკრალური ადგილია – მისი და ხათუნა ვარდოსანიძის სიყვარულის ისტორია, სწორედ აქ იწყება. როცა ერთმანეთი გაიცნეს, პროფესიით ჟურნალისტი, ქალბატონი ხათუნა ადგილობრივ გაზეთში მუშაობდა, ბატონი ვახტანგი კი გამგებელი იყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ დაქორწინება გადაწყვიტეს და ტრადიციული, ქართული ოჯახიც შექმნეს.

ქალბატონი ხათუნა დიასახლისია და ვაჟის აღზრდითაა დაკავებული. დავითი 8 წლის გახდა. სიცელქით, ენერგიულობითა და აქტიურობით, იმერელ დედას ჰგავს. თუ მოუცლელი მამა გამოიჭირა, ვითამაშოთ ან გავისეირნოთო, სთხოვს. უმეტესად ველოსიპედებით სეირნობენ.

თავისუფალი დრო თუ მაინც გამონახა, შვილთან გარბის. არც ისე პატარა ვიყავი ოჯახი რომ შევქმენი და დავითთან ურთიერთობა, ამ ეტაპზე, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანიაო, ამბობს. ცდილობს, შვილი ბებია-ბაბუასთან ხშირად ჩაიყვანოს სოფელში – იქ, სადაც სამყაროს სხვანაირად შეიცნობს, თვალნათლივ დაინახავს, რომ ადამიანები, რეგიონებში, მხოლოდ შრომით მოიპოვებენ საზრდოს და ზოგადად, შრომის ფასსაც სხვაგვარად გაიგებს. სოფელში კი, დაღლილიც რომ იყოს, არ დაიზარებს, აუცილებლად გაჰყვება ბიჭს მდინარეზე, ითევზავებენ, ბაყაყებს დაიჭერენ, გზად მაყვალს მოკრეფენ და გულახდილად, „კაცურად“ ისაუბრებენ. მოუყვება მამა დათას, რა რთული პერიოდები გაიარა მისმა ქვეყანამ, როგორ გახდა მამა იძულებული 1999 წელს ამერიკაში წასულიყო, 7 წელი როგორ აღამებდა უცხოეთში იმაზე ფიქრით, რომ საქართველოში აუცილებლად დაბრუნდებოდა. საოკუპაციო ხაზისკენაც გაიშვერს მამა ხელს და აუხსნის, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანამ, ტერიტორიები წაგვართვა და რუსეთი ოკუპანტია. ასწავლის, რომ სამშობლოს დაცვა ყველა მოქალაქის ვალია და თავის ქვეყანას, სოფელსა და ეზო-კარს უნდა გაუფრთხილდეს. ასწავლის იმასაც, რაც თავის დროზე მას და მის დას ასწავლეს – რომ განათლება, წარმატების ერთ-ერთი საწინდარია, რომ უშრომელად, ცხოვრებაში არაფერი გამოვა და რომ უნდა ეცადო, ისე იცხოვრო, შენი სახელი ხალხს კეთილად დაამახსოვრდეს. მაგალითად კი, ბაბუის ცხოვრებას მოუყვანს. ეტყვის, რომ კასპში, ვალტერ პაპას ყველა იცნობს, მას კი, დღემდე „ვალტერის ბიჭად“ მოიხსენიებენ. ამბიცია აქვს, ისე იცხოვროს, წლების შემდეგ, დავით მაისურაძეს ისეთივე სიყვარულით დაუძახონ „ვახოს ბიჭი“, როგორი სიყვარულითაც მას „ვალტერის ბიჭად“ მოიხსენიებენ. ამბობს, რომ ამის მიღწევა არც ისე რთულია – თუ გულწრფელად გიყვარს შენი მუნიციპალიტეტი, თუ კაცთმოყვარე ხარ, თუ გულწრფელად გინდა ემსახურო შენ ხალხს და თუ ზურგს ისეთი ძლიერი გუნდი გიმაგრებს, როგორიც „ქართული ოცნებაა“ – გამოგივა!

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **კასპის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 55 495 940 ლარი, დაფინანსდა 90 445 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 974 794 ,5 ლარით 205 468 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 120 065 ლარით 50 270 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (35 947 400 ლარით 21 261 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (8 628 213 ლარით 8 991 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 135 403 ლარით 3 642 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 521 944 ლარით 5 109 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, კასპის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 817 ბენეფიციარი (286 745 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი, კასპის მუნიციპალიტეტში, 84%-დან 99,7%-მდე გაიზარდა. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **კასპში,** სტაციონარული მკურნალობით ისარგებლა 208 პაციენტმა (641 629 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1556-მა (37 541 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, კასპის მუნიციპალიტეტში, ანტენატალური სერვისი მიიღო 5 399-მა ორსულმა (298 599 ლარი), მედიკამენტები – 1 204-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **კასპის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 717 პირი (136 988 ლ).**

2012 წლის შემდეგ, კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. კასპში, 2013-2021 წლებში. სულ 1419 შემთხვევა 1 421 428 ლარით დაფინანსდა. 2013 **წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **კასპის მუნიციპალიტეტს 62 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, კასპის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

**კოდისწყაროს, ლამისყანის, ოკამის ადმინისტრაციულ ერთეულებში** შემავალი სოფლები: რენე, თვაურები და თეზი, 3 ამბულატორიის სენდვიჩ–პანელის კომპლექტაციის მონტაჟი და რენეს ამბულატორიის აღჭურვა (202 090 ლარი. **ამბულატორიების სრული რეაბილიტაცია სოფლებში** აღაიანი (20 618 ლ), ახალციხე (23 277 ლ), დოესი (23 078 ლი), ოკამი (32 623 ლ), ახალქალაქი, იგოეთი (27 375 ლ), თელიანის ამბულატრიის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა (47668,66 ლ), ქ. კასპის (გ.სააკაძის ქN№110/ა) სასწრაფო დახმარების ცენტრის შენობის რეაბილიტაცია/აღჭურვა (25 800 ლ). ბორჯომი, **კასპი**, ყოფილი საავადმყოფოების შენობების რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების მოსაწყობად, 106 ოჯახი (4 925 175 ლ).

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 101.0 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისმა დაფინანსებამ 59,8 ათასი ლარი შეადგინა.

**მუნციციპალიტეტის მიერ ჯანდაცვის მიმართულებით ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები.** მათ შორის გადამდებ დაავადებათა ეპიზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება და ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, პარაზიტული დაავადების პირველი ეპიდკვლევა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, სანიტარული ღონისძიებები, და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **კასპის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ) 9012 პირია. 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი თითქმის 2,3-ჯერ – 10 556 205-დან 24 265 137 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ 151 193 714 ლარი დაიხარჯა.

**სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **კასპში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 158 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,9-ჯერ – 151 460-დან 744 769 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 4 947 764 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. კასპის მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 429 ოჯახია (01.04.2021 მდგომ). 2012 წლის შემდეგ, გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 1,7-ჯერ – 2 940 ათასიდან 5012 ათას ლარამდე, 2013-2021 წ.წ. (01.04. 2021 მდგომ.) საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 44 967 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 14 655 ათასი, შშმ პირებზე – 3 588 ათასი, ბავშვებზე – 13 057 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – კასპში სოციალური პაკეტით სარგებლობს 1952 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,4-ჯერ – 580 732-დან 3 130 855 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 21 087 444 ლარი.



**კასპის მუნიციპალიტეტში 807 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 133 904 ლარიდან 442 665 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 3 213 076 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა. კასპში, დაკმაყოფილდა – 392 ოჯახი, მათ შორის: 122 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 34 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართობი, მასში მცხოვრებ 140 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) კასპში დაფინანსებულია 84 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 235 650 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 69 700 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან კასპის მუნიციპალიტეტზე 2 686 173 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს, კასპში ჩართული იყო 1 449 ოჯახი, 2021 წელს – 1588 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, კასპში, 2020 წელს ისარგებლა 296-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 337-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), პროგრამაში, კასპში, 2020 წ. ჩაერთო 422 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 431.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 020 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისმა დაფინანსებამ 352,0 ათასი ლარი შეადგინა.

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები,** როგორიცაა ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო და მედიკამენტოზური დახმარება, კიბოსწინარე დაავადებით დაავადებულთა ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება, კეთილთვისებიან სიმსივნეთა სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარი) მკურ. თანადაფინანსება, ნეიროქირურგიული და ტრავმატოლოგიურ-ორთოპ. ოპერაციები ხერხემალსა და კიდურებზე და ამ ოპერაციებთან დაკავშირებული საფიქსაციო საშუალების ამოღება, კარდიოქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება, უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, თირკმლის უკმარისობით (დიალიზი) დაავადებულ პაციენტების დახმარება და ასევე, მათი ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება, მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, მარტოხელა მშობლის დახმარება, ხანძრების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ოჯახის დახმარება და სხვ

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**




განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

**კასპში ფუნქციონირებს 26 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, (5 – ქ. კასპში, 21 – სოფლად). 2021 წელს, სოფელ იგოეთში, გაიხსნება კიდევ ერთი, 50 აღსაზრდელზე გათვლილი, ახალი საბავშვო ბაღი**.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** მნიშვნელოვნად გაიზარდა კასპში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება:** 2020 წელს მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდამ **4 732.1 ათასი** ლარი შეადგინა. 2013 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 812,5 ათასი ლარით განისაზღვრა.

**2014-2021 წლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ყველა საბავშვო ბაღს:** ნაწილობრივ გარემონტდა ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული საბავშვო ბაღის შენობები, მოეწყო სასადილო ოთახები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს, 5 საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. 2014-2017 წლებში ქ. კასპისა და სოფლების საბავშვო ბაღების შენობების ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე 3 მლნ 606 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს** ქალაქ კასპის №4 და №5 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის II ეტაპი 573, 4 ათასი ლარით დაფინანსდა. მუნიციპალიტეტის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს 7 ადმინისტრაციული ერთეულის (ეზატი, კავთისხევი, ახალქალაქი, ახალციხე, თელიანი, ხოვლე, სასირეთი, ქვემო გომი) 9 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას კი 902,8 ათასი ლარი მოხმარდა. **2019 წელს** დასრულდა დოესის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, მოეწყო გათბობის სისტემა (364,1 ათასი ლარი); **2020 წელს** განხორციელდა სოფ. ოკამისა (132,2 ათასი ლარი) და აღაიანის (278,9 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი.

**2021 წელს მიმდინარეობს** კოდისწყაროში (ქვემო რენე) 50 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ დაწესებულება 8 სოფლის (კოდისწყარო, ყარაფილა, სარიბარი, ზადიანთკარი,

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ზემო რენე, ქვემო რენე, ნიგოზა, ჩობალაური) აღსაზრდელებს მოემსახურება, მათ შორის 4 გამყოფი ხაზისპირა სოფელია. საბავშვო ბაღი თითქმის 30 წელია არ ფუნქციონირებდა და მისი პროექტი USAID-ZRDA0-ს დაფინანსებით მომზადდა ( 684 113 ლარი). რეაბილიტაციის II ეტაპი მიმდინარეობს სოფელ ქვემო ჭალის საბავშვო ბაღში, რომელიც 7 სოფლის აღსაზრდელებს ემსახურება, მათ შორის 5 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებია (284 988 ლარი, რეგიონული ფონდი). მიმდინარეობს და 2022 წელს გაგრძელდება სოფელ ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები (რეგიონული ფონდი, 200 268 ლარი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაგეგმილია სოფელ სარიბარში ბავშვთა ატრაქციონების მოწყობა (13 607 ლარი); ქვემო გომში, საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია /მოწყობა (16 250 ლარი),

2020-2021 წლებში, **ადგილობრივი ბიუჯეტის სრული დაფინანსებით, დასრულდა:** სოფ. იგოეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა (696,3 ათასი ლარი); **გრაკალის** საბავშვო ბაღის მშენებლობა (474,9 ათასი ლარი); **სადგურ მეტეხის** საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (965,0 ათასი ლარი). ქ.კასპისა და მუნიციპალიტეტის 27 საბავშვო ბაღისთვის შეძენილია დენის ელექტროქურები (42 850 ლარი), 25 საბავშვო ბაღისთვის მოეწყო ახალი ელგადამცემი ხაზი (18 716 ლარი). სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ 11 საბავშვო ბაღისთვის შეისყიდა ავეჯი (40 840 ლარი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1040-დან 1568-მდე გაიზარდა. თითოეულ აღსაზრდელზე 25 ლარამდე გაიზარდა საბავშვო ბაღებში **კვების თანხა,** სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 17 საბავშვო ბაღის 17 სასკოლო მზაობის ჯგუფში, სადაც 301 ბავშვია. საბავშვო ბაღებში ირიცხება 75 აღმზრდელ-პედაგოგი და 81 აღმზრდელი. საბავშვო ბაღებს 29 ექთანი/ექიმი და 18 ფსიქოლოგი ემსახურება.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 საჯარო სკოლა და „მრავალპროფილური სკოლა-გიმნაზია“** (ქალაქში – 4, სოფლად – 25), სადაც 5 253 მოსწავლე და 612 მასწავლებელია. ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად, დასაქმებულია 23 სპეციალისტი. 6 სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 77 სსსმ მოსწავლე. 9 საჯარო სკოლას 18 **მანდატური** ემსახურება. 9 სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი.**

**ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, კასპის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის:** 2017-2019 წლებში, **„სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის“** პროგრამით 40 სასკოლო პროექტი განხორციელდა და 39 პროექტი დაფინანსდა. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, 4 სკოლას 46 ლეპტოპი გადაეცა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** სკოლების აღჭურვის 47 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 18 პროექტი განხორციელდა. 2013-2019 წლებში, სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 77 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამაში კასპის 20 საჯარო სკოლის (34 მიმართულება) 776 მოსწავლეა ჩართული. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს, ჯამში, 1130 სასკოლო **ჟურნალი** და 159 694 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ დაურიგდა. 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს 3270 კომპიუტერი გადაეცათ, 156 – კლასის დამრიგებლებს, ლეპტოპებით დასაჩუქრდა 106 წარჩინებული მოსწავლე. **2013-2019 წლებში,** კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, საერთო ჯამში, 73 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა.

**ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის მიზნით:** მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი აფხაზეთის ომში დაღუპული პოლკოვნიკის ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად. 2020-2021 წლებში, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უმაღლესი სასწავლებლების 8 წარჩინებულ მაღალქულიან სტუდენტს 6 თვის განმავლობაში დანიშნული ჰქონდა სტიპენდია 500 ლარის ოდენობით; 17 მედალოსანს საჩუქრად გადაეცა ფულადი ჯილდო 1000 ლარი; პროექტ „ეტალონში“ გამრჯვებულ სოფელ სასირეთის საჯარო სკოლის მოწავლეს გადაეცა ფულადი ჯილდო.

**2013-2018 წლებში კასპის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 38 პროექტი განხორციელდა.** ადაპტირებულია 19 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლა. MCC– ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით განხორციელებული ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში მუნიციპალიტეტის 2 საჯარო სკოლაა (სოფელ ოკამისა და კავთისხევის საჯარო სკოლები) ჩართული.

**2019 წელს** დასრულდა სოფელ ოკამის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია; ინფრასტრუქტურის მოწყობა და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა აღაიანის (230 ათასი ლარი); ქ. კასპის №3 (140 ათასი ლარი), ქ.კასპის №2 (140 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში. განხორციელდა სოფელ სასირეთის (170 ათასი ლარი); ლამისყანისა (220 ათასი ლარი) და ზემო ხანდაკის (170 ათასი ლარი) სკოლების რეაბილიტაცია. **სკოლების სახელმწიფო პროგრამით, სველი წერტილები და პანდუსები მოეწყო 6** სოფლის საჯარო სკოლებში; შემოიღობა ქ. კასპის №4, №2 და №3 სკოლების ეზოები და მოასფალტდა ტერიტორია (სულ 633 225.92 ლარი); **2020 წელს** დასრულდა სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის მშენებლობა(3,5 მლნ ლარი); კასპის სკოლებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**დასრულდა გომის, წინარეხისა და კოდისწყაროს** შენობების დეტალური პროექტის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (4,5 მლნ ლარი); **იგოეთის** საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოები (175 ათასი ლარი); **ხოვლეს** საჯარო სკოლის ახალი სასწავლო კორპუსის, სპორტული დარბაზის მშენებლობა (2 მლნ 25 ათასი ლარი), **კოდისწყაროს** საჯარო სკოლის დემონტაჟი და ახალი სკოლის მშენებლობა (მუნიციპალური განვითარების ფონდი, 1 მლნ 123 577 ლარი); წინარეხის საჯარო სკოლის დემონტაჟი და ახალი სკოლის მშენებლობა (1 მლნ 500 ათასი ლარი მგფ); **მიმდინარეობს ქვემო გომში,** 150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) – 2 მლნ 360 ათასი ლარი (მგფ-ის დაფინანსებით).

## პროფესიული განათლება

2021 წელს, კასპში დასრულდა, 200 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა, რისთვისაც 4,2 მლნ ლარი დაიხარჯა. 2021 წლის მიღების ფარგლებში, კოლეჯი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს 8 მოდულურ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას. სკოლის მოსწავლეებში **პროფესიული უნარების** განვითარების მიზნით, 2018-2019 წლებში, კოლეჯების ჩართულობით, კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის განხორციელდა 7 საორიენტაციო კურსი. 2020 წელს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში კოლეჯი 122,3 ათასი ლარით დაფინანსდა;

**2020-2021 წლებში,** ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, კასპში **აშენდა რეგიონული ინოვაციური ცენტრი** (სახელმწიფო ბიუჯეტიდან **2,1 მლნ ლარი). 2021 წელს მიმდინარეობს** კასპის პროფესიული სასწავლებლისთვის სახელოსნოების მშენებლობა (487,8 ათასი ლარი).

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტიდან, 2013-2014 სასწავლო წელს დაფინანსდა 11 სტუდენტი, 2014-2015 სასწავლო წელს – 17 სტუდენტი, 2015-2016 სასწავლო წელს – 17 სტუდენტი, ხოლო 2016-2017 სასწავლო წელს – 18 სტუდენტი. **2018-2019** სასწავლო წელს – 45, **2019-2020 – 25 სტუდენტი, 2020-2021 – 25 სტუდენტი.**

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს შიდა ქართლის რეგიონის (გორი, კასპი, ქარელი, და ხაშური)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთვრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს, შიდა ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 9 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 9 სტუდენტი, 2020-2021 სასწავლო წელს 9 სტუდენტი.

**2017 წელს** კასპში გაიხსნა **„ბიზნესისა და ტექნოლოგიების გადამზადების ცენტრი“,** სადაც ახალგაზრდები უფასოდ გადიან ტრენინგს კომპიუტერულ პროგრამირებაში და უცხოური ენის სწავლების კურსებს.

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა/ რეაბილიტაცია. მათ შორის: 2022 წელს დაგეგმილია საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოების განხორციელება და გათბობის სისტემის მოწყობა სოფელ ლამისყანაში, რომელიც გამყოფი ხაზის სოფლების: ხვითისა და თვაურების აღსაზრდელებს მოემსახურება – 354,9 ათასი ლარი; II ეტაპის რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა სამთავისის საბავშვო ბაღში, რომელიც თოგოიანის და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ბოჟამის აღსაზრდელებს მოემსახურება – 391,6 ლარი; 2023 წელს დაგეგმილია სოფელ თეზის საბავშვო ბაღის II ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები და გათბობის სისტემის მოწყობა– 367,74 ათასი ლარი;
- **2022-2023 წლებში დაგეგმილია სამი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფლებში:** მიქელწყარო (ბაღი საერთოდ არ ჰქონიათ, აღსაზრდელები დადიან ქ. კასპის სხვადასხვა საბავშვო ბაღში) ფერმა (ბაღი ფუნქციონირებს კერძო მოსახლის ნაქირავებ ფართობში (ორივე სოფელში კომპაქტურად ცხოვრობს აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა) და ხოვლე;
- 2024 წელს ახალი ბაღი აშენდება სოფელ წინარეხში – 905,9 ათასი ლარი; 2025 წლამდე დასრულდება სოფ. ზ/ხანდაკის, სოფ. ლამისყანის და სოფ. სამთავისის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია.
- 2022-2025 წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაღისთვის შემეცნებით-გასართობი ინვენტარისა და ლიტერატურის შეძენა. ეზოს გასართობი დანადგარებისა და სპორტული ინვენტარის შეძენა.
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება კასპში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები,** განხორციელდება გათბობის სისტემის მოწყობისა და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ სასირეთის, თელიანის, ქვემო ჭალის, იგოეთის საჯარო სკოლებში – 549,1 ათასი ლარი; გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სოფლების სკოლებში გათბობის სისტემის მოწყობისა და სხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 2021 წელს დასრულდება ტექნოპარკის მშენებლობა ქ. კასპში – 2 მლნ 900 ათასი ლარი.
- კასპის ახალი კოლეჯის ბაზაზე გაიზრდება მოსახლეობისთვის შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა.
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი,** რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა,** რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**



სოფელი წინარეხი

## კულტურა

კასპში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: **კულტურის დაწესებულებების გაერთიანება** (5 კულტურის სახლი, 14 სასოფლო კლუბი და 1 კულტურის ცენტრი); **მუზეუმების გაერთიანება** (5 მუზეუმი – კასპის გ. ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის, ხოვლეს ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი, ლამისყანის ჯამბაკურ ორბელიანის სასახლე-მუზეუმი, სასირეთის გენერალ გ. მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი და კავთისხევის ო. კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი); **ბიბლიოთეკების გაერთიანება** (3 ბიბლიოთეკა – ცენტრალური, საბავშვო და საქალაქო); **სახელოვნებო სკოლების გაერთიანება** (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და 5 სამუსიკო სკოლა). **კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.**

2013 წელთან შედარებით, **მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 0,8 მლნ ლარით, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა 2, 3 **მლნ ლარი** შეადგინა.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდებოდა მასობრივი ღონისძიებები. 2015 წელს საფუძველი ჩაეყარა ომარ კელაპტრიშვილის სახელობის ფესტივალს. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში: ბორჯომის მე-4 და მე-5 საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი გახდა სამუსიკო სკოლის 2 მოსწავლე. 2012 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ფუნქციონირებდა 10 უფასო სასწავლო-საგანმანათლებლო წრე, 2017 წლისთვის კი მათი რაოდენობა 21-მდე გაიზარდა. 2018 – 2020 წლებში გაიმართა ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი “Fest I Nova” – გარიყულა; განხორციელდა პროექტი „ცოცხალი წიგნები;

**2015-2021 წლებში, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით,** ხორციელდება პროექტი, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის თელიანისა და მეტეხის დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სახელოვნებო წრეების ფუნქციონირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო აქტივობების განხორციელებას ითვალისწინებს.

**2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** სოფელ მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, სოფელ კავთისხევში სამუსიკო სკოლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და ქ. კასპის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფელ ეზატის კლუბის დარბაზის კეთილმოწყობა, სოფელ ნიგოზას კულტურის სახლის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, სოფელ ოკამში, სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის აღდგენა, სოფელ ქვემო ჭალაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია, რაზეც სულ დაახლოებით 250 ათასი ლარი დაიხარჯა. მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია სოფელ მეტეხის კულტურის სახლის, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობების აღდგენისა და სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის აღდგენა-რესტავრაციისთვის.

**2013-2016 წლებში,** სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს (არქეოლოგიური ძეგლი „გრაკლიანი გორა“, რკონის სვიმეონ მესვეტის ტაძარი, სამთავისის დასავლეთის კარიბჭე), რაზეც სულ 0,5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.

**2017 წელს** კეთილმოეწყო ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ეზო – 89,8 ათასი ლარი. ასევე, კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზების სარემონტო სამუშაოებზე 13 ათასი ლარი დაიხარჯა. შეკეთდა დაზიანებული ძეგლები (1, 5 ათასი ლარი). რეაბილიტაცია ჩაუტარდა კასპის საბავშვო ბიბლიოთეკას ქეჩერუხის დასახლებაში. განხორციელდა „გრაკლიანის გორის“ სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები (20 ათასი ლარი),

**2018-2019 წლებში** დაიწყო „გრაკლიანი გორის“ სამუზეუმო სივრცის მოწყობა (360 ათასი ლარი). დასრულებულია სოფელ სასირეთში გენერალ მზანიაშვილის სახელობის მუზეუმის სახურავის რემონტი (13,3 ათასი ლარი); სოფელ გარიყულაში დასრულდა თარხან-მოურავების სასახლის, „მარშლიანთ სასახლის“ ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობისა და დეკორატიული ელემენტების პირველადი გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები (20 ათასი ლარი); სამთავისის ამაღლების ტაძრის კანკელის მცირე სარეაბილიტაციო-სამონტაჟო სამუშაოები (1925.7 ლარი);

**2020 წელს განხორციელდა:** სოფელ თვალადში გიორგი შატბერაშვილის სახლის რესტავრაციის პროექტი; კასპის კულტურის სახლს მიენიჭა ომარ კელაპტრიშვილის სახელი და დაიდგა ბიუსტი; პანტიანის ჯვარპატიოსნის ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები; სოფ. ერთაწმინდა, წმ. ესტატეს სახელობის ეკლესიის ეზოს ტერიტორიაზე ამორტიზირებული ნაგებობის დემონტაჟი; სხვილოს ციხე-დარბაზის რეაბილიტაციის II ეტაპის პროექტი; სოფ. ქვემოჭალა, სხვილოს ციხე-დარბაზის კომპლექსის რეაბილიტაცია; გრაკლიანი გორის არქეოლოგია; გრაკლიანი გორის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცის მოწყობა და ტექნიკური აღჭურვის I-ეტაპი რკონის კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; დასრულდა სოფელ ქვემოჭალაში სხვილოს (ცხვილოს) ციხე-დარბაზის კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი).

**2021 წელს დასრულდა** კასპის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია (555 291 ლარი), სოფელ ახალქალაქში, ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსის ციხე-გალავნის (კოშკებით) რეაბილიტაცია-ადაპტაცია I –II ეტაპი (400 ათასი ლარი);

**მიმდინარეობს**: გუდალეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია (ფონდი „ქართუ“), რკონის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაციის I ეტაპი (ფონდი „ქართუ“, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო); გრაკლიანი გორის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცის მოწყობა და ტექნიკური აღჭურვა (I-ეტაპი – 297 ათასი ლარი; II ეტაპი – 300 ათასი ლარი); სოფელ ლამისყანაში, ჯამბაკურ-ორბელიანთა კომპლექსის ტერიტორიის კეთილმოწყობა (73 660 ლარი);

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სპორტის დაწესებულებების გაერთიანება** (კომპლექსური სასპორტო სკოლა, ჭიდაობის სკოლა), რომელშიც სპორტის სხვადასხვა სახეობის ჯგუფებში 609 მოსწავლე ირიცხება.

2014 წლიდან მნიშვნელოვნად **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს მუნიციპალური ბიუჯეტით სპორტის ფაქტობრივი ხარჯები 734.1 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 375,3 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, კრივი, მაგიდის ჩოგბურთი, ათლეტიზმი, კიკბოქსინგი, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, შაში, ფეხბურთი, მძლეოსნობა და კარატე.

**2014-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი:**

ქ. კასპში აშენდა საერთაშორისო სტანდარტების სპორტული კომპლექსი, რაშიც 2,5 მილიონი ლარი დაიხარჯა; განხორციელდა სოფელ აღაიანის სპორტული დარბაზის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, რაც 70,9 ათასი ლარით დაფინანსდა.

**2013-2015 წლებში** ქ, კასპში 4 სპორტული მინიმოედანი მოეწყო.

**2014 წელს ასევე** სპორტული მინიმოედნები მოეწყო სოფლებში: ოკამი, ნოსტე, კალოუბანი, ჩანგილარი;

**2014-2015 წლებში** მრავალფუნქციური სპორტული მოედანი მოეწყო სოფელ რენეში; 2017 წელს 2 სპორტული მოედნის მოწყობაზე ქ. კასპში 40,8 ათასი ლარი დაიხარჯა; განხორციელდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია სოფელ მეტეხში;

**2016-2019** წლებში კასპის სტადიონის რეაბილიტაციას 1 მლნ 400 ათასი ლარი მოხმარდა;

**2017 წელს** კასპის კარატეს სპორტული დარბაზის რეაბილიტაციაზე 25,5 ათასი ლარი დაიხარჯა. ორი მინისტადიონის მოწყობაზე კი – 67 ათასი ლარი. სოფელ ქვემო გომის საჭიდაო არენის მოწყობა 23,6 ათასი ლარით დაფინანსდა; სოფ. მეტეხის სპორტული



გორის სპორტის სასახლე




დარბაზის ნაწილობრივ რეაბილიტაციას 7,5 ათასი ლარი მოხმარდა;

**2018 წელს** განხორციელდა სოფელ აღაიანის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია და ხოვლეს საჭიდაო არენის მოწყობა (11,2 ათასი ლარი);

**2019 წელს, სოფლის მხარდაჭეროს პროგრამით,** სოფ. ჩანგილარში სპორტული საფეხბურთო სტადიონის შემოღობვაზე 22,882 ლარი დაიხარჯა. ქ. კასპში (სააკაძის ქუჩა) ფეხბურთის არსებულ სტადიონთან ახალი – 480-ადგილიანი ტრიბუნების მოწყობასა და არსებული სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაციაზე 1 მლნ 424,6 ათასი ლარი დაიხარაჯა (მუნიციპალური განვითარების ფონდი); სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, შემოიღობა სოფელ თეზის სტადიონი (26 ათასი ლარი);

**2020 წელს** სოფელ ახალქალაქში დასრულდა კარატეს სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (19,5 ათასი ლარი);

**2021 წელს, კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი პროექტები:** სოფელ ზემო ხანდაკში ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნის მოწყობა (87 588 ლ), სოფელ დოესში, ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნის მოწყობა (87 588 ლ), სოფელ აღაიანში, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა (87 588 ლ) ქ. კასპსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მრავალფუნქციური სატრენაჟორო სივრცეების მოწყობა 8 ლოკაციაზე (157 400 ლ);

**2021 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს** სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოედნების მოწყობა სოფლებში ქვემო ჩოჩეთი, ფერმა და მრგვალიჭალა (48 860 ლარი);

**2021 წელს ა(ა)იპ „სპორტის გაერთიანების“ მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის ფარგლებში, მიმდინარეობს** სოფელ მეტეხში, ჭიდაობის სპორტსკოლაში დარბაზის შეკეთება (7,952 ლარი); ქ. კასპში – სპორტული კომპლექსის მინისტადიონის შემოღობვა (5,113 ლარი), სტადიონის გვერდით ხაზთან რბილი ბარიერის მოწყობა (27,588 ლარი) და სპორტული კომპლექსის სამრეცხაოს მშენებლობა (14,155 ლარი);

2013-2021 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, კასპის მუნიციპალიტეტში, **ქართულ ჭიდაობაში ზონალური ჩემპიონატები ჩაატარა.** გარდა ამისა, სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა კასპში **12 შიდა ჩემპიონატი** გამართეს.

2018-2020 წლებში, ყოველწლიურად იმართება ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნება ევროპის სპორტის კვირეულსა და საერთაშორისო დღეს **„სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“;**

2020 წელს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში უ/ა ჭაბუკებს შორის;

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრმა“,** კასპის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა სახის პროექტები, რომელთა მიზანი იყო სოფელ ხოვლეში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის აღდგენა, სათბურის აგება და მასში მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა დასაქმება, ახალგაზრდებში სამოქალაქო თვითშეგნების დონის ამაღლება, ქალთა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, თვითრეალიზაციისა და სრულფასოვანი ცხოვრებისთვის საჭირო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ხელშეწყობა. „არა – სიძულვილის ენას!“ კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები კასპის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა მონაწილეობით.

**2021 წელს** ჩატარდება **ახალგაზრდების საჭიროების კვლევა;** შეიქმნება ადგილობრივი **ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;** გადამზადდება კასპის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორად; ახალგაზრდობის გართობისა და დასვენების მიზნით, იქმნება **რეკრეაციული სივრცეები;**

**2021 წელს მიმდინარეობს ტენდერები ახალგაზრდების მიერ ინიცირებულ პროექტებზე:** კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში სკვერის სრული რეაბილიტაცია – 189 822 ლარი და სოფელ სასირეთში გენერალ მაზნიაშვილის სახელობის სკვერის მოწყობა – 122 755 ლარი.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით კასპის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- 2021-2023 წლებში, განხორციელდება გ. ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა ( 1 00,5 ათასი ლარი) და ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის (595 ათასი ლარი) სამშენებლო-სამონტაჟო და შემოღობვის სამუშაოები;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია მასშტაბური პროექტი „გრაკლიანი გორის“ სამუზეუმო სივრცისა და ვებსაიტის მოსაწყობად (პროექტის ღირებულებაა 670 ათასი ლარი);
- სოფელ მეტეხის კულტურის სახლის რეაბილიტაცია – 1,2 მლნ ლარი;
- ქ.კასპში კულტურის სახლის რეაბილიტაცია – 2,9 მლნ ლარი;
- სოფელ ახალციხის სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია.
- სოფელ ქვემოჭალაში, ჯვარპატიოსანი ეკლესიის რეაბილიტაცია – 350 ათასი ლარი;
- რკონის ციხის კომპლექსის რეაბილიტაცია – 800 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- დაგეგმილია: სოფ. ახალქალაქში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 19,5 ათასი ლარი; კასპის №3 და №4 საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება – 176,3 ათასი ლარი; სოფელ ხოვლეში საჭიდაო არენის რეაბილიტაცია – 149,127 ლარი; სოფელ კავთისხევში მინი სპორტული მოედნის შემოღობვის და მემორიალის რეაბილიტაცია – 120,564 ლარი; ქ.კასპში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა – 85,860 ლარი;
- დაგეგმილია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით: სპორტული ინფრასტრუქტურის და მოედნების მოწყობა სოფლებში: აღაიანში, სასირეთსა და ზემო რენეში ღირებულებით – 50 427 ლარი.
- სოფელ ახალქალაქში ყოფილი ბავშვთა სახლის ეზოს რეაბილიტაცია – 172,699 ლარი;
- ქ. კასპში სააკაძისა და ლესელიძის ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა – 883,289 ლარი;
- დაგეგმილია კასპში მაზნიაშვილის სკვერის სრული რეაბილიტაცია – 557,100 ლარი;
- მიმდინარეობს ტენდერები: ქ. კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში სკვერის მოწყობა – 150 ათასი ლარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- განხორციელდება სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერა მუნიციპალურ დონეზე;
- ხელი შეეწყობა მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციას და მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივია, მოგმართოთ, როგორც კასპის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა!

მე ამ მუნიციპალიტეტის მკვიდრი ვარ, მიმუშავია ხელმძღვანელ პოზიციაზე და ზედმიწევნით კარგად ვიცნობ ჩვენი ქალაქისა თუ მოსახლეობის წინაშე არსებულ პრობლემებს, გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი ადამიანი, მისი კეთილდღეობაა და ბუნებრივია, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩემი, როგორც მერის მთავარი საზრუნავიც თითოეული კასპელის კეთილდღეობა იქნება!

ამასთანავე, ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, მომავალშიც, აუცილებლად გაგრძელდება უკვე დაწყებული მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის: გზების რეაბილიტაცია, სასმელი და სარწყავი წლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული ინფრასტრუქტურის, ბაღებისა და სკვერების მოწესრიგება; ყურადღება მიექცევა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენი რეგიონი ძლიერია სოფლის მეურნეობის კუთხით. შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ფერმერული მეურნეობის განვითარებას. ასევე, კასპის მუნიციპალიტეტში მრავალი მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული ძეგლია, რომლებიც ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს. მიმაჩნია, რომ იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტს აქვს, უფრო მეტად შეგვიძლია ტურიზმის სფეროს განვითარება, ეს კი, თავის მხრივ, ადგილობრივთა დასაქმებას შეუწყობს ხელს.

პრიორიტეტული იქნება ახალგაზრდების დასაქმება, განათლება, ცხოვრების ჯანსაღ წესზე ზრუნვა. ჩემს გუნდთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ, რათა ახალგაზრდებს ღირსეული განათლების მიღების საშუალება ჰქონდეთ და კეთილმოწყობილ სკოლებში სწავლობდნენ.

ჩემო კასპელებო, თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს! მჯერა, ერთად დგომით, ერთად შრომით აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.